საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის
სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

ს ი ლ ა ბ უ ს ი

სასწავლო კურსი: ინტეგრაცია 1

ავტორი: სვეტლანა ბერიკაშვილი

სასწავლო კურსის სახელწოდება	ინტეგრაცია 1
ავტორი	სვეტლანა ბერიკაშვილი, ფილოლოგიის დოქტორი. ბინის ტელ.: 2 72 21 05, მობ. 5 99 15 72 14. ელ-ფოსტა: svetlishka@yahoo.com
სასწავლო კურსის მიზნები	სასწავლო კურსის მიზანია საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობებისათვის ქართულ ენაში ცოდნის ამაღლების მიზნით ინფორმაციის მიწოდება საქართველოს გეოგრაფიის, ისტორიის, კულტურასა და წეს-ჩვეულებების შესახებ. კურსი ქართული ენის შემსწავლელებს ხელს უწყობს ქართულ კულტურაში ინტეგრირებას.
კრედიტების რაოდენობა და საათების განაწილება სტუდენტის დატვირთვის შესაბამისად	1 სემესტრი – 5 კრედიტი; საკონტაქტო საათების რაოდენობა – 47 საათი (ლექცია - 15 საათი, პრაქტიკული მეცადინეობა - 29 საათი, შუალედური შეფასება 1 საათი, დასკვნითი გამოცდა - 2 საათი). დამოუკიდებელი მუშაობა - 78 საათი. საათების რაოდენობა სულ - 125 საათი.
დაშვების წინაპირობები	წინაპირობის გარეშე
სწავლის შედეგები •	**1. ცოდნა და გაცნობიერება:** სტუდენტს შეუძლია ქართულად ჩატარებული ლექციის მოსმენა და გააზრება, შეუძლია სხვადასხვა სახის საინფორმაციო საშუალებებისა და ტექნოლოგიების გამოყენება სწავლის პროცესში. შეუძლია ქართულ კულტურასთან დაკავშირებული ადაპტირებული ტექსტების წაკითხვა და გაგება, აქვს ელემენტარული ცოდნა საქართველოს შესახებ. **2. ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:** სტუდენტს აქვს ქართულ ენაზე კომუნიკაციის უნარი, შეუძლია ორიენტაცია ქართულენოვან გარემოში, კითხვების დასმა, მოსმენილის გაგება და ინტერპრეტაცია. **3. დასკვნის უნარი:** სტუდენტს აქვს დაგროვილი თეორიული და პრაქტიკული ცოდნის ანალიზისა და სინთეზის უნარი, აუდიო-ვიზუალური მასალის აღქმა-გაგებისა და დისკუსიაში მონაწილეობის უნარი. **4. კომუნიკაციის უნარი:** სტუდენტს აქვს ზეპირი და წერითი კომუნიკაციის უნარი ქართულ

	ენაზე. შეუძლია ურთიერთობის დამყარება თანაკურსელებთან, ლექტორებთან, თანამოქალაქეებთან, რაც ხელს უწყობს მის ინტეგრირებას ქართულ საზოგადოებაში. ასევე, მას შეუძლია ციფრული საინფორმაციო საშუალებების გამოყენება. **5. სწავლის უნარი:** აღნიშნული კურსის გავლის შემდეგ სტუდენტებს აქვთ პრაქტიკული დავალებების დამოუკიდებლად შესრულების, სასწავლო პროცესში დროის გადანაწილების, სამუშაო ჯგუფში გუნდური და ინდივიდუალური მუშაობის უნარი. ასევე შეუძლიათ სწავლის პროცესის დამოუკიდებლად წარმართვა და წერითი სამუშაოს შესრულება. 6. **ღირებულებები:** სტუდენტს შეუძლია ქართული ენობრივ-კულტურული თვითმყოფადობისა და ღირებულებების გაცნობა, დაფასება და პატივისცემა. ასევე შეუძლია ინტერკულტურული ღირებულებების ათვისება, სხვადასხვა კულტურის მიმართ ურთიერთპატივისცემისა და ტოლერანტობის შეგრძნების შემუშავება, რაც თავის მხრივ, ხელს უწყობს სამოქალაქო ცნობიერების ჩამოყალიბებას.
შინაარსი	**I კვირა – ლექცია 1 სთ.** **თემა - ზოგი რამ საქართველოს შესახებ** ტექსტი: ზოგი რამ საქართველოზე, დიალოგი: რა იცით საქართველოს შესახებ? ლექსიკურ მასალაზე მუშაობა. ლიტერატურა: გეგუჩაძე, ლეილა. 2004. *ქართული ენა უცხოელთათვის.* თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, გვ. 55-56; 100-101 (შემდგომში გეგუჩაძე, ტექსტები). მასალა: ლექტორის მიერ მომზადებული კონსპექტი (სპეციალურად შერჩეული / ადაპტირებული ბეჭდვითი მასალა), პრეზენტაცია (სპეციალურად შერჩეული აუდიო, ფოტო და ვიდეომასალა წარმოდგენილი Power Point-ის სახით). **პრაქტიკული მეცადინეობა – 2 სთ.** **თემა - ზოგი რამ საქართველოს შესახებ** **ფორმა -** სავარჯიშოების შესრულება, დისკუსია. **II კვირა – ლექცია 1 სთ.** **თემა - საქართველოს ქალაქები, თბილისი** ტექსტი / დიალოგი; სავარჯიშოები დიალოგის გაგებისათვის; ლექსიკურ მასალაზე მუშაობა. ლეგენდა თბილისის დაარსების

	შესახებ. ლიტერატურა: გეგუჩაძე, ტექსტები, გვ. 93-94. მასალა: ლექტორის მიერ მომზადებული კონსპექტი, პრეზენტაცია, ვიდეო მასალა საქართველოს ქალაქების შესახებ. **პრაქტიკული მეცადინეობა – 2 სთ.** **თემა - საქართველოს ქალაქები, თბილისი** **ფორმა -** სავარჯიშოების შესრულება, მუშაობა მცირე ჯგუფებში: ჯგუფებმა უნდა წარმოადგინონ პატარა პრეზენტაციები სხვადასხვა ქალაქის შესახებ და დისკუსია პრეზენტაციის ირგვლივ. **III კვირა – ლექცია 1 სთ.** **თემა - საქართველოს ბუნება** ტექსტი / დიალოგი; სავარჯიშოები დიალოგის გაგებისათვის; ლექსიკურ მასალაზე მუშაობა. მასალა: ლექტორის მიერ მომზადებული კონსპექტი, პრეზენტაცია. **პრაქტიკული მეცადინეობა – 2 სთ.** **თემა - საქართველოს ბუნება** **ფორმა -** სავარჯიშოების შესრულება, დისკუსია. **IV კვირა - ლექცია 1 სთ.** **თემა - ტრადიციული კერძები** ტექსტი / დიალოგი; სავარჯიშოები დიალოგის გაგებისათვის; ლექსიკურ მასალაზე მუშაობა. მასალა: ლექტორის მიერ მომზადებული კონსპექტი, პრეზენტაცია. **პრაქტიკული მეცადინეობა – 2 სთ.** **თემა - ტრადიციული კერძები** **ფორმა -** სავარჯიშოების შესრულება, დისკუსია, სტუდენტების მიერ ინდივიდუალური პრეზენტაციის წარმოდგენა ეროვნული სამზარეულოს შესახებ. **V კვირა - ლექცია 1 სთ.** **თემა - რა იცით ქართული ენის შესახებ?** დიალოგი: რა იცით ქართული ენის შესახებ? სავარჯიშოები დიალოგის გაგებისათვის; ტექსტი: ქართული ენა, როგორც მრავალსაუკუნოვანი ტრადიციის მქონე სალიტერატურო ენა; ლექსიკურ მასალაზე მუშაობა. ლიტერატურა: გეგუჩაძე, ტექსტები, გვ. 131-132; გეგუჩაძე, ლეილა.

	1997. *ქართული ენა.* თბილისი, გვ. 8 (შემდგომში გეგუჩაძე, ქართული ენა). მასალა: ლექტორის მიერ მომზადებული კონსპექტი, პრეზენტაცია. **პრაქტიკული მეცადინეობა – 2 სთ.** **თემა - რა იცით ქართული ენის შესახებ?** **ფორმა** - სავარჯიშოების შესრულება, დისკუსია/ინფორმაციის გაზიარება, მუშაობა მცირე ჯგუფებში. **VI კვირა – ლექცია 1 სთ.** **თემა - ქართული დამწერლობა** ტექსტი / დიალოგი; სავარჯიშოები დიალოგის გაგებისათვის; ლექსიკურ მასალაზე მუშაობა. ლიტერატურა: მაჭავარიანი, ელენე. 2008. *ქართული დამწერლობა.* თბილისი, გვ. 3-5, სამაგალითოდ ერთი ასოს მოხატულობა სამივე ანბანში, გვ.25; მასალა: ლექტორის მიერ მომზადებული კონსპექტი, პრეზენტაცია. **პრაქტიკული მეცადინეობა – 2 სთ.** **თემა - ქართული დამწერლობა** **ფორმა** - სავარჯიშოების შესრულება, დისკუსია, შუალედური შეფასებისთვის (კოლოკვიუმისთვის) მომზადება. **VII კვირა – ლექცია 1 სთ.** **თემა - რელიგია და ტრადიციები** ტექსტი / დიალოგი; სავარჯიშოები დიალოგის გაგებისათვის; ლექსიკურ მასალაზე მუშაობა. მასალა: ლექტორის მიერ მომზადებული კონსპექტი, პრეზენტაცია. **პრაქტიკული მეცადინეობა – 1 სთ.** **თემა - რელიგია და ტრადიციები** **ფორმა** - სავარჯიშოების შესრულება, დისკუსია. **შუალედური შეფასება – 1 სთ.** **VIII კვირა – ლექცია 1 სთ.** **თემა - ქართული სპორტი** ტექსტი / დიალოგი; სავარჯიშოები დიალოგის გაგებისათვის; ლექსიკურ მასალაზე მუშაობა.

	მასალა: ლექტორის მიერ მომზადებული კონსპექტი, პრეზენტაცია, ინტერნეტიდან ვიდეომასალა. **პრაქტიკული მეცადინეობა – 2 სთ.** **კოლოკვიუმში დაშვებული შეცდომების ანალიზი** **თემა - ქართული სპორტი** **ფორმა -** სავარჯიშოების შესრულება, დისკუსია, წერითი დავალებისთვის მომზადება. **IX კვირა – ლექცია 1 სთ.** **თემა - საქართველოს განათლების სისტემა, პროფესიები** ტექსტი / დიალოგი; სავარჯიშოები დიალოგის გაგებისათვის; ლექსიკურ მასალაზე მუშაობა. მასალა: ლექტორის მიერ მომზადებული კონსპექტი, პრეზენტაცია. **პრაქტიკული მეცადინეობა – 2 სთ.** **თემა - საქართველოს განათლების სისტემა, პროფესიები** **ფორმა -** სავარჯიშოების შესრულება, დისკუსია, წერითი დავალება. **X კვირა – ლექცია 1 სთ.** **თემა - ქართული ენის ადგილი მონათესავე ენათა ოჯახებს შორის** ტექსტი / დიალოგი; ლექსიკურ მასალაზე მუშაობა. ლიტერატურა: გეგუჩაძე, ქართული ენა, გვ. 5-7. მასალა: ლექტორის მიერ მომზადებული კონსპექტი, პრეზენტაცია. **პრაქტიკული მეცადინეობა – 2 სთ.** **თემა - ქართული ენის ადგილი მონათესავე ენათა ოჯახებს შორის** **ფორმა -** სავარჯიშოების შესრულება, დისკუსია, წაკითხული ტექსტის გააზრება. **XI კვირა - ლექცია 1 სთ.** **თემა - საქართველოს მუზეუმები** ტექსტი / დიალოგი; ლექსიკურ მასალაზე მუშაობა. მასალა: ლექტორის მიერ მომზადებული კონსპექტი, პრეზენტაცია, ინტერნეტიდან ვიდეომასალა. **პრაქტიკული მეცადინეობა – 2 სთ.** **თემა - საქართველოს მუზეუმები** **ფორმა -** სავარჯიშოების შესრულება, დისკუსია, წერითი დავალებისთვის მომზადება.

	XII კვირა – ლექცია 1 სთ. **თემა - საქართველოს ისტორია: დავით აღმაშენებელი** ტექსტი / დიალოგი; ლექსიკურ მასალაზე მუშაობა. ლიტერატურა: გეგუჩაძე, ტექსტები, გვ. 177-180. მასალა: ლექტორის მიერ მომზადებული კონსპექტი, პრეზენტაცია. **პრაქტიკული მეცადინეობა – 2 სთ.** **თემა - საქართველოს ისტორია: დავით აღმაშენებელი** **ფორმა -** სავარჯიშოების შესრულება, დისკუსია, წერითი დავალება. **XIII კვირა – ლექცია 1 სთ.** **თემა - საქართველოს სახელმწიფო სტრუქტურა** ტექსტი / დიალოგი; სავარჯიშოები დიალოგის გაგებისათვის; ლექსიკურ მასალაზე მუშაობა. მასალა: ლექტორის მიერ მომზადებული კონსპექტი, პრეზენტაცია. **პრაქტიკული მეცადინეობა – 2 სთ.** **თემა - საქართველოს სახელმწიფო სტრუქტურა** **ფორმა -** სავარჯიშოების შესრულება, დისკუსია. **XIV კვირა – ლექცია 1 სთ.** **თემა - ქართული ლიტერატურა: ილია ჭავჭავაძე** ტექსტი / დიალოგი; ლექსიკურ მასალაზე მუშაობა. ლიტერატურა: გეგუჩაძე, ლეილა. 2004. *ქართული ენა უცხოელთათვის.* თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, გვ. 205-209. მასალა: ლექტორის მიერ მომზადებული კონსპექტი, პრეზენტაცია. **პრაქტიკული მეცადინეობა – 2 სთ.** **თემა - ქართული ლიტერატურა: ილია ჭავჭავაძე** **ფორმა -** სავარჯიშოების შესრულება, დისკუსია, წაკითხული ტექსტის გააზრება. **XV კვირა – ლექცია 1 სთ.** **თემა -** გავლილი მასალის გამეორება **პრაქტიკული მეცადინეობა – 2 სთ.** **ფორმა -** სტუდენტების მიერ პრეზენტაციის წარმოდგენა გავლილი მასალიდან ერთ-ერთი საკითხის შესახებ

	XVI – XVIII კვირა - კონსულტაცია და დასკვნითი გამოცდა - 2სთ.
სწავლების ფორმატი	კურსი გრძელდება 1 სემესტრის მანძილზე (18 კვირა). აქედან 15 კვირა მოიცავს სწავლა-სწავლებისა და შუალედური შეფასების პროცესს; 3 კვირა – დასკვნითი გამოცდისთვის მომზადება და ჩაბარება.
სწავლების/სწავლის მეთოდები	სწავლების პროცესში გამოყენებული იქნება შემდეგი მეთოდები: ლექცია და პრაქტიკული მეცადინეობა.
სწავლება/სწავლის მეთოდების აქტივობები	ვერბალური მეთოდი, წიგნზე მუშაობის მეთოდი, წერითი მეთოდი, ინტერაქტიული სწავლების მეთოდი, დემონსტრირების მეთოდი, დისკუსია, ახსნა-განმარტებითი მეთოდი, აუდიო-ლინგვისტური მეთოდი, საინფორმაციო რესურსებთან მუშაობის მეთოდი.
შეფასების კრიტერიუმები	100 ქულა წარმოადგენს სტუდენტის მაქსიმალურ საბოლოო შეფასებას კონკრეტული სასწავლო კურსის გავლის შემთხვევაში. კრედიტის მინიჭების წინაპირობაა სტუდენტის მიერ 100-დან 51 ქულის დაგროვება, რომელიც საერთოა მთელი უნივერსიტეტისათვის. **შეფასების სისტემა შემდეგნაირია:** (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა; (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა; (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა; (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა; (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა. (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება; (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. სტუდენტი დასკვნით გამოცდაზე დაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი სემესტრის განმავლობაში, შუალედური შეფასების თითოეულ კომპონენტში დააგროვებს მინიმალური კომპეტენციის ზღვრით განსაზღვრულ (ან მეტ) ქულას. იმისათვის, რომ სტუდენტი დაშვებულ იქნას დასკვნით გამოცდაზე, კომპონენტებში (60 ქულიდან) სავალდებულოა მინიმუმ 25 ქულის მიღება. **შეფასების კომპონენტები:** • აქტიურობა - **20** ქულა (მინიმალური კომპეტენციის ზღვარი

	განისაზღვრება 8 ქულით); • წერითი დავალებების შესრულება - **10** ქულა (მინიმალური კომპეტენციის ზღვარი განისაზღვრება 4 ქულით); • 2 პრეზენტაცია - **10** ქულა (მინიმალური კომპეტენციის ზღვარი განისაზღვრება 4 ქულით); • შუალედური გამოცდა - **20** ქულა (მინიმალური კომპეტენციის ზღვარი განისაზღვრება 9 ქულით); • დასკვნითი გამოცდა - **40** ქულა (მინიმალური კომპეტენციის ზღვარი განისაზღვრება 16 ქულით); • **აქტიურობა - 20 ქულა** სემინარული აქტივობას ეთმობა 25 საათი. თითოეული აქტივობა ფასდება 0.8 ქულით, ჯამურად სემინარული აქტივობა იკავებს 20 ქულას. სტუდენტი იღებს შეფასებას, როდესაც ჩართულია სასემინარო პროცესში, კითხვა პასუხის რეჟიმში წარმოაჩენს მასალის ცოდნას. • **წერითი დავალება - 10 ქულა** წერითი დავალების შესრულებას ეთმობა 2 საათი, ტარდება 2-ჯერ, შეფასება - 5 ქულა. სტუდენტები ირჩევენ თემატურ მასალას, ამზადებენ არანაკლებ 150 სიტყვისაგან შემდგარ ნაშრომს, რომელშიც გადმოცემულია საკუთარი ხედვა მოცემული საკითხის მიმართ. - **5** ქულა: პასუხი სრულია. საკითხი ზუსტად და ამომწურავად არის გადმოცემული. ტერმინოლოგია დაცულია. სტუდენტს ათ-ვისებული აქვს როგორც ძირითადი, ასევე დამატებითი ლიტერატურა. - **4** ქულა: პასუხი სრულია, მაგრამ შეკვეცილი. ტერმინოლოგია დაცულია. არსებითი შეცდომა არ არის. სტუდენტს ათვისებული აქვს ძირითადი ლიტერატურა. - **3** ქულა: პასუხი არასრულია. საკითხი დამაკმაყოფილებლად არის გადმოცემული. ტერმინოლოგია ნაკლოვანია. სტუდენტი ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ მასალას, მაგრამ აღენიშნება მცირედი შეცდომები. - **2** ქულა: პასუხი არასრულია. ტერმინოლოგია მცდარი. აღინიშნება რამდენიმე არსებითი შეცდომა. სტუდენტს არასაკმა-რისად აქვს ათვისებული ძირითადი ლიტერატურა. - **1** ქულა: პასუხი ნაკლოვანია. ტერმინოლოგია არ არის გამოყენებული. პასუხი არსებითად მცდარია. გადმოცემულია საკითხის მხოლოდ ცალკეული ფრაგმენტები. ● **პრეზენტაცია** - პრეზენტაციების წარმოდგენას ეთმობა 2 საათი პრაქტიკული მეცადინეობების დროს. სემესტრის განმავლობაში ხდება 2 პრეზენტაცია, თითოეული ფასდება 5 ქულით.

	შეფასება ხდება ქვემოთ ჩამოთვლილი კომპონენტების მიხედვით, თითოეული კომპონენტი ფასდება 1 (ერთი) ქულით: ა) თემის გასაგებად წარმოდგენა; ბ) გამართულად საუბარი; გ) დასკვნების გამოტანის უნარი; დ) აუდიტორიასთან კონტაქტი; ე) თვალსაჩინოების გამოყენება. • **შუალედური გამოცდა - 20 ქულა.** ჩატარდება წერის სახით. *დახურული კითხვების შეფასების კრიტერიუმი:* - პასუხი სწორია - 1 ქულა - პასუხი არასწორია - 0 ქულა *ღია კითხვების შეფასების კრიტერიუმი:* - პასუხი ზუსტი და ამომწურავია, ტერმინოლოგია მართებულია - 2 ქულა - პასუხი სწორია, მაგრამ არა ამომწურავი, ტერმინოლოგიის სიზუსტე დაცულია - 1,5 ქულა - პასუხი არაა ამომწურავი, ტერმინოლოგიის სიზუსტე დარღვეულია - 1 ქულა - პასუხი ფრაგმენტულია - 0,5 ქულა - პასუხი არასწორია 0 ქულა • **დასკვნითი გამოცდა - 40 ქულა:** ჩატარდება წერის სახით, სადაც სტუდენტები პასუხს გასცემენ 35 კითხვას გავლილი მასალიდან - 20 ღია და 15 დახურული, და დაწერენ ესსეს. საგამოცდო ტესტის თითოეული კითხვა შეფასდება 1, ხოლო ესსე - 5 ქულით. ***დახურული კითხვების შეფასების კრიტერიუმი:*** - პასუხი სწორია - 1 ქულა - პასუხი არასწორია - 0 ქულა ***ღია კითხვების შეფასების კრიტერიუმი:*** - პასუხი ზუსტი და ამომწურავია, ტერმინოლოგია მართებულია - 1 ქულა - პასუხი სწორია, მაგრამ არა ამომწურავი, ტერმინოლოგიის სიზუსტე დაცულია - 0,5 ქულა - პასუხი არასწორია 0 ქულა ***ესსეს შეფასების კრიტერიუმი*** **5 ქულა:** პასუხი სრულია. საკითხი ზუსტად და ამომწურავად არის გადმოცემული. ტერმინოლოგია დაცულია. სტუდენტს ათ-ვისებული აქვს როგორც ძირითადი, ასევე დამატებითი ლიტერატურა. **4 ქულა:** პასუხი სრულია, მაგრამ შეკვეცილი. ტერმინოლოგია დაცულია. არსებითი შეცდომა არ არის. სტუდენტს ათვისებული აქვს ძირითადი ლიტერატურა.

	3 ქულა: პასუხი არასრულია. საკითხი დამაკმაყოფილებლად არის გადმოცემული. ტერმინოლოგია ნაკლოვანია. სტუდენტი ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ მასალას, მაგრამ აღენიშნება მცირედი შეცდომები. **2 ქულა:** პასუხი არასრულია. ტერმინოლოგია მცდარი. აღინიშნება რამდენიმე არსებითი შეცდომა. სტუდენტს არასაკმარისად აქვს ათვისებული ძირითადი ლიტერატურა. **1 ქულა:** პასუხი ნაკლოვანია. ტერმინოლოგია არ არის გამოყენებული. პასუხი არსებითად მცდარია. გადმოცემულია საკითხის მხოლოდ ცალკეული ფრაგმენტები. **დასკვნითი გამოცდის ჩაბარება არის სავალდებულო.**
ძირითადი ლიტერატურა	1. გეგუჩაძე, ლეილა. 2004. *ქართული ენა უცხოელთათვის, მოკლე გრამატიკა ტექსტებითა და ლექსიკონით.* თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. 2. გეგუჩაძე, ლეილა. 1997. *ქართული ენა.* თბილისი.
დამხმარე ლიტერატურა	1. მაჭავარიანი, ელენე. 2008. *ქართული დამწერლობა.* თბილისი. 2. ლექტორის მიერ მომზადებული კონსპექტი, პრეზენტაციები. 3. დამატებით გამოყენებული იქნება ინტერნეტ-რესურსები, აუდიო და ვიდეო მასალა.